
2025 წლის
ანგარიში
Charte.ge

რა არის ჩართე?

Charte.ge საქველმოქმედო პლატფორმაა, რომელზეც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დაუფინანსოს ინტერნეტი და ლეპტოპი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს. „ჩართეს“ გუნდი მოსწავლეებს უზრუნველყოფს, ასევე, საგანმანათლებლო რესურსებით, ტრენინგებითა და მუდმივი ტექნიკურ-საგანმანათლებლო მხარდაჭერით.

რატომ?

დღეს საქართველოში 78,000-მდე მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტი. 21-ე საუკუნეში ინტერნეტზე წვდომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ინტერნეტის მიწოდებით მოსწავლეს უჩნდება არა მხოლოდ სწავლისა და განვითარების ულევი შესაძლებლობა, არამედ ეცვლება წარმოდგენა სამყაროს შესახებ, ეზრდება შესაძლებლობათა ველი, უჩნდება თვითგანვითარების სტიმული.

როგორ მუშაობს Charte.ge?



სკოლების დახმარებით აღვრიცხავთ ამა თუ იმ რეგიონის თითოეულ სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს.



ვსტუმრობთ თითოეულ მოსწავლეს, ვრწმუნდებით მათ საჭიროებაში და საიტზე აღვრიცხავთ მათ ისტორიას.



ადამიანები რეგისტრირდებიან ყოველთვიურ დონორებად და აფინანსებენ ინტერნეტს / ლეპტოპს.




ისინი ირჩევენ, მათი ყოველთვიური შემოწირულობის რა ნაწილი დაფარავს ადმინისტრაციულ ხარჯებს.



მოსწავლეებს ვურიგებთ ხელმისაწვდომ კომპიუტერებს და ვუფინანსებთ ინტერნეტს.



მოსწავლეებს ვრთავთ მენტორობის პროგრამაში და ვაძლევთ წვდომას რესურსებსა და ტრენინგზე.



დონორები იღებენ გამჭვირვალობის ანგარიშს დეტალური ხარჯებით, სიახლეებითა და წარმატების ისტორიებით.



დროში განმეორებადი კვლევების საშუალებით ჩვენ მუდმივად ვზომავთ პროექტის გავლენას მოსწავლეებზე.

2025 წელი რიცხვებში

	2025-ში	სულ
მოსწავლეები	417	3253
დონორები	598	6051
მოქალაქეების შემოწირულობები	₾749 893	₾3 429 590
კომპანიების შემოწირულობები	₾214 180	₾1 691 358
ახალი რეგიონი	1 (სვანეთი)	
ბანაკი მოსწავლეებისთვის	9	


მოსწავლეების რაოდენობა

წლების მანძილზე






სად ვიმუშავეთ 2025 წელს



რაში დაიხარჯა შემოწირულობები
2024 წელს



ბანკის საკომისიო
0.3%
₾2 851

მარკეტინგი
7.3%
₾72 546

ვებსაიტის ადმინისტრირება
2.5%
₾24 592



ბანაკების ხარჯები
19.8%
₾197 624

კომპიუტერები
41.6%
₾415 844



ინტერნეტის სააბონენტო
12.5%
₾124 592

კომპიუტერების დარიგება და ადმინისტრაციული ხარჯი
16.1%
₾161 011

რა მოხდა 2025 წელს განსაკუთრებული?

ჩვენი პროექტის ხელმძღვანელს, მარიამ მჭედლიშვილს, ილიაუნისგან გადაეცა ჯილდო „განსაკუთრებული წვლილისთვის საზოგადოების სამსახურში”.

მუშაობა დავიწყეთ სვანეთში და 187 ოჯახს გადავეცით ლეპტოპი.

„ჩართე” წარვადგინეთ DataFest-ზე, Change Inspire-ის კონფერენციაზე, Robo Battle-ზე და „გიორგი ტუხაშვილის სტარტაპ დაჯილდოების” ღონისძიებაზე.

მოსწავლეებმა უფასოდ გაიარეს One Academy-სა და Smart Academy-ის კურსები გრაფიკული დიზაინის, IT პროექტების მენეჯმენტის და სხვა მიმართულებებით. მოუსმინეს ჩვენს მოხალისე სპიკერებს გაცვლით პროგრამებზე, ხელოვნურ ინტელექტსა და აკადემიურ წერაზე.

ველზე რეგიონებში კვლავ თავიანთი მანქანით წაგვიყვანეს ჩვენმა მხარდამჭერებმა.



გალელი ახალგაზრდების 9 ნაკადი ჩამოვიყვანეთ თბილისში, 4-დღიან შემეცნებით ბანაკში. ჩავუტარეთ ტრენინგები პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვის, ადამიანია უფლებების, მედია და ფინანსური წიგნიერების, თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების შესახებ. მეგობარი კომპანიების დახმარებით კი მათთვის კულტურული აქტივობებიც მოვაწყვეთ - გასეირნება ძველ თბილისში, სუხიშვილების კონცერტი, სტუმრობა ილიაუნის ინოვაციების ლაბორატორიაში, კინო, კარტინგი, პიცის ცხობის მასტერკლასი და სხვა. ბოლოს კი წიგნებით დასაჩუქრებულები გავამგზავრეთ გალში.


მადლობა
მხარდაჭერისთვის!